№ 32.

# ივერია

წელიწადი პირველი

6 ოკტომ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის" რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის" ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

**საძიებელი** I. საპოლიტიკო მიმოხილვა.—II. საქართველოს მატიანე: ტფილისი, გურჯაანი, საგარეჯო.—III. საპოლიტიკო ამბები: საფრანგეთი, ავსტრო-ვენგრია, იტალია, სერბია, რუმინია, ჩერნოგორია.—IV. ომის ამბები.—V. თფილისის სამხედრო გიმნაზიაში მისაღების ეგზემენების გამო.—VI. თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა ქ. თელავში.—VII. ბრძოლა რომის დასაპყრობლად.—VIII. განცხადება.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

აი ეს ექვსი თვეა თითქმის რაც მთელის ევროპის თვალ-ყური მიქცეულია რუსთა და ოსმალთა შორის ბრძოლაზედ. ყოველი სახელმწიფო დიდს ფაცაფუცშია იმის თაობაზედ, რომ ხვალინდელმა დღემ, რომელიც დღე და დღე უფრო და უფრო ბურუსით იმოსება, არ მოასწროს მოუმზადებელს და საზოგადო ისტორიის ენის ტალღამ მოულოდნელად არ ჩაითრიოს. აღმოსავლეთის საქმე დიდი ხანია ტყვიასავით გულზედ აწევს ევროპას. ევროპა ამ სიმძიმის ტვირთვას უფრო რჩეობდა, ვიდრე გულიდამ ახსნას, იმიტომ-რომ ამისთანა რთულს და გაბმულს საქმეს, როგორიც აღმოსავლეთის საქმეა, მრავალი საშიშარი შედეგი მოჰსდევდა, ევროპიის ფიქრით,—და ეს შიში უფრო აწუხებდა ევროპას, ვიდრე ის ლოდი, რომელიც გულზედ აწვა აღმოსავლეთის საქმის გამო. ბოლოს იფეთქა ამ საქმემაც, რუსეთმა გამოიღო ხელი და ხმლით მოისურვა ამ კვანძის გახსნა. ევროპა ამ ამბავზედ შეკრთა და ყური აცქვიტა. ყველას ეგონა რომ ძლიერს და მორჭმულს რუსეთს უძლური, სნეული, და ღონე მიხდილი ოსმალო წინ ვერ დაუდგება და გადავარა რუსეთი დუნაას, სტამბოლამდე გზა თავისუფალი ექნება. მაგრამ ოსმალომ, ყველას მოულოდნელად, გამოიჩინა ასეთი მხნეობა, გამრჯელობა და ძალ-ღონე, რომ რუსეთს თითქმის ომი გაუსწორა. ესეც დიდი საქმეა ევროპიის თვალში. თუმცა ყველა დაჯერებულია, რომ რუსეთი დასასრულს მაინც და მაინც გამარჯვებული გამოვა ამ ომიდამ; რომ ოსმალოს მოულოდნელმა მხნეობამ რუსეთი მხოლოდ შეაფერხა, მაგრამ ამ ომის გასწორებამ ცოტად თუ ბევრად დაუმშვიდა გული აღელვებულს მთავრობას ინგლისას, რომელსაც რუსეთის ძლიერებისა ყველაზედ უფრო ძლიერ ეშინოდა და რომელიც ყველაზედ უფრო ხმა მაღლა და გულახდილად ყვიროდა რუსეთის წინააღმდეგ.

ბევრს ეცადა ინგლისი, რომ ევროპა მიემხრო, თითქმის ავსტრი-ვენგრიაც თუ გულახდილად არა, გულდაფარულად მაინც თავისაკენ გადიბირა, მაგრამ დანარჩენს სახელმწიფოებზედ მეცადინეობამ უქმად ჩაუარა. იმიტომ-კი არა რომ იმ სახელმწიფოებში მეტის-მეტი სიყვარული იპოვა რუსეთისადმი, არამედ იმიტომ-რომ იმ სახელმწიფოებს თავისი შინაური ტკივილები და წყლულნი აეშალათ. 16 მაისს, ესე იგი, იმ დღეს აქედ რაც მაკ-მაგონმა საფრანგეთში არეულობა და უკანონობა მოახდინა და სამღვდელოთა დასს აჰყვა, გერმანია და იტალია შეფუცხუნდა. ორგვარად არის საშიში ეს საფრანგეთის მოძრაობა გერმანიისათვის და იტალიისათვის. პირველი მით რომ საფრანგეთში სამღვდელოთა დასის განძლიერება, მოახწავებს განძლიერებას ამავე დასისას

იტალიაში და გერმანიაში, სადაც ამ ორივე სახელმწიფოს მთავრობა და ხალხი კარგა ხანია ებრძვის ამ მოუსვენარს და მავნებელს დასსა. მეორე მით, რომ სამღვდელოთა დასის გამარჯვება საფრანგეთში ომსაც უქადის როგორც გერმანიას, აგრეთვე იტალიასაც. ესე იქნება თუ არა, მაინც და მაინც ყველა დაჯერებულია, რომ თუ მომავალს არჩევანში მაკ-მაგონის პოლიტიკის მომხრეებს ამოარჩევენო საფრანგეთში, ეგ ამბავი უომრად ვერ მორჩებაო. ამისათვისაც იტალია, გაზეთების სიტყვით, ამჟამად ციხეებს ამაგრებს საფრანგეთის მხრივ და გერმანიაც თუმცა ფარულად, მაგრამ ყველამ იცის, რომ ფხიზლად არის.

ამ გარემოებამ, ესე იგი, მან რომ მაკ-მაგონმა საფრანგეთის პოლიტიკა ასე ძალ-მომრეობით მიდრიკა სამღვდელოთაგან და სამღვდელოთა მიდრეკილებას დაემორჩილა, ის მოახდინა, რომ იტალია და გერმანია უწინაც დაახლოვებულნი, უფრო მიუახლოვა ერთმანეთსა. ამბობენ, იტალიის პარლამენტის პრეზიდენტის კრისპის მოგზაურობა ევროპაში ამის გულისთვის მოხდაო.

გერმანია, საფრანგეთის მაყურებელი და საფრანგეთის ომის მოლოდინე ცდილობს, რომ ევროპაში მომხრენი იყოლიოს. რასაკვირველია, გარემოებათა გამო პირველი მომხრე მისი იტალია შეიქმნება და მეორე რუსეთი უნდა იყოს. ეს გერმანიის სახელმწიფო საქმეთა გამგებელ-კაცებმა ძალიან კარგად შეიგნეს და ამიტომაც ამ ბოლოს დროს და ნამეტნავად 16 მაისის შემდეგ, ესე იგი, მას შემდეგ რაც მაკ-მაგონმა სამღვდელოთა მომხრეობა გამოიჩინა და რესპუბლიკელი პარლამენტი გადაყენა საფრანგეთში, გერმანიამ ხმა აიმაღლა რუსეთის სასარგებლოდ და ამით რუსეთს დიდი შემწეობა მისცა. გარდა ამისა გერმანიამ ლაგამი ამოჭსდვა პირში თვით-ავსტრი-ვენგრიასაც, რომელიც ეგრე ორპირად და ორგულად იქცევა რუსეთის შესახებ აღმოსავლეთის საქმეში. ორპირობა მცბიერის მეგობრისა უფრო მავნებელია, როგორც მოგეხსენებათ, ვიდრე პირდაპირი და გულ ახდილი მტრობა. ან რა ქმნას საწყალმა ავსტრი-ვენგრიამ? ერთის მხრით გერმანიისაგან ამოდებულ ლაგამს ჩაჭკიდეს ხელი ვენგრიელებმა და თითქმის ნემენცებმაც და ეწვიან რუსეთის წინაამდეგ, მეორეს მხრით მის ქვეშევრდომი სლავიანები მიდრეკილნი არიან რუსეთისა და უფრო ერთობ სლავიანების სასარგებლოდ. ამ ბოლოს დროს ხომ ვენგრიელებმა ცოტას გარჩა ხელი ხმალს არ გაიკრეს და ძალა არ იხმარეს თავის სურვილის აღსასრულებლად; და ვინ იცის რა მოხდებოდა, რომ ვენგრიელების შეთქმულობა ავსტრი-ვენგრიის მთავრობას თავის დროზედ არ შეეტყო და მის აღმოსაკვეთად ჯეროვანად სასტიკი ღონისძიება არ მიეღო.

ავსტრი-ვენგრიის მინისტრის ანდრაშის ქვეშ-ქვეშობითმა ქცევამ, ვენგრიის მინისტრის ტისსას ორ პირმა სიტყვამ ცხადად დაანახვა გერმანიას, რომ ავსტრი-ვენგრია თუმცა ეხლა დაჩუმებულია და რუსეთის წინააღმდეგად აშკარად არას მოქმედობს, მაგრამ მაინც და მაინც სანდო არ არის. ამის გამო გერმანია, გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად იმის ცდაშია თურმე, რომ იტალია, რუსეთი და თვით გერმანია დაამზავოს ისე, როგორც აქამომდე დამზავებული იყო რუსეთი, გერმანია და ავსტრი-ვენგრია და ეს ავსტრი-ვენგრია კი გარიყოს. გაზეთები ამასაც კი ამბობენ, რომ ვითომც გერმანიამ რუსეთზედ თვისი აზრი გამოიცვალაო და ამ ჟამად ცდილობსო, რომ ევროპაში იტალიას რუსეთის მაგივრობა გააწევინოსო და დაულოცოსო. მაგრამ ეს უკანასკნელი რუსეთის მოპირდაპირე გაზეთების ჭორიკანაობა უნდა იყოს. ვითომ დასაჯერებელია, რომ გერმანიამ უღალატოს რუსეთს, რომელმაც იმოდენა შემწეობა მისცა გერმანიას საფრანგეთთან ომის დროს!... მაგრამ ვინ იცის, პოლიტიკაში უმადურობა იშვიათი საქმე არ არის. მაინც და მაინც ჩვენის ფიქრით, საფრანგეთის არჩევანზედ არის დამოკიდებული გერმანიისა და იტალიის პოლიტიკის საქმეცა,—და ამაზედ კიდევ დამოკიდებულია, საომარს ველზედ მარტო რუსეთი და ოსმალო დარჩება, თუ სხვანიც ჩაერევიან. თუ მაკ-მაგონის დასმა გაიმარჯვა, გერმანიის მეცადინეობა რუსეთის სასარგებლოდ უეჭველი იქნება და თუ რესპუბლიკელთ დასმა გაიმარჯვა, მაშინ იტალიასაც და გერმანიასაც თავისი შინაური ტკივილი გაუმთელდებათ, რადგანაც რესპუბლიკელთ დასისაგან არც სამღვდელოთა დასის განძლიერებას მოელიან და არც მშვიდობიანობის დარღვევასა. მაშინ ვინ იცის, ან ერთისა და ან მეორის პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმეში რა ფერი დაედება!...

## საქართველოს მატიანე

ტფილისი 4-ს ოკტომბერს ზარბაზნის სროლამ აუწყა ტფილისელებს, რომ რაღაც დიდი ამბავი მომხდარა. ქალაქელები ერთმანეთს ეცნენ, რა მომხდარა და სადაო. გამოვიდა რომ მუხთარ-ფაშა დაუმარცხებიათ და კუდით ქვას ასროლინებენო. ამ ამბავმა ელვაზედ უმალეს მოირბინა მთელი ქალაქი. სიონის ზარის რეკამ გვაცნობა, რომ სამადლობელი პარაკლისია დანიშნული. დიდ-მალი ხალხი, კაცი თუ ქალი მოგროვდა სიონში. ამქრები თავისის ალმებით, ბაირაღებით და დაფა-ზურნით გამოვიდნენ და სიონის ქუჩაზედ მოგროვდნენ. როცა პარაკლისი იხადეს, თ. გრ. ორბელიანი გამობრძანდა და ამქარს მიულოცა გამარჯვება. ასტყდა ამის პასუხად ურას ძახილი და ზურნისა და დაფის ცემა. ხალხს ერთობ სიხარული ეტყობოდათ. საღამოს ჟამს ქალაქი ჩირაღდნით იყო გაჩაღებული.

— საგარეჯოში რამდენსამე ხალხის გულშემატკივარს კაცს ერთი კარგი და მეტად საკეთილო საქმე დაუწყვიათ. შეუდგენიათ სოფლის ამხანაგობა, რომელმაც უნდა იქონიოს საკუთარი სასოფლო დუქანი ყოველის სოფლის კაცისათვის სავაჭრო საქონლისა. ამაზედ შედგენილი წესდება წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად და ამ მოკლე ხანში მთავრობას დაუმტკიცებია კიდეც. ღმერთმა ჰქმნას ამ სამაგალითო საქმის მოთავეთა საქმე კარგად წარემართოთ და ღმერთმა ჰქმნას რომ სხვა სოფლებმაც ამ შემთხვევაში საგარეჯოს მიჰბაძონ. სოფლის წურბელებისაგან ხსნა და გლეხის სისხლისა და ოფლის მწოველთაგან განთავისუფლება, თუ გსურთ. სოფლელნო და გლეხნო, თქვენი საკუთარი საამხანაგო დუქნები გაიმართეთ. პირველი რომ ყველა საჭირო საქონელი იეფად გექმნებათ, მეორე რომ თვითონ მოგებაც, თუ იქმნება, თქვენვე დაგრჩებათ. ამ გვარის ამხანაგობის გავრცელება ჩვენში დიდი სამადლო ღვაწლია, ვინც კი შეუდგება.

როცა შემთხვევა გვექნება და საგარეჯოს ამხანაგობის წესდება ხელში ჩაგვივარდება, ვეცდებით იგი წესდებაც აუხსნათ მკითხველთ და თვით ამ საგანზედაც ჩვენი აზრი უფრო ვრცლად გამოვსთქვათ.

---

### („ივერიის“ კორრესპონდენციები.)

გურჯაანი 1-ს სეკტემბერს. „ივერიის“ მკითხველთ ეხსომებათ, რომ ჩვენ—გურჯაანელებმა „ივერიის“ მკითხველთ *) შიმშილის შესანდობარი დავალევინეთ და ამ შესანდობართან წარმოვჰსთქვით, რომ „მისი ფესვი აღარ გაღივებულიყო საჩვენოში:“ მართლაც სურვილი აგვიხდა და მთელს საქართველოში თვალ უნახავი პურის მოსავალი მოვიდა ამ ზაფხულს და ამ გარემოებამ თითქმის ცეკვა დაგვაწყებინა იმერულივით.

აგვიხდება ეს სურვილი შემდეგშიაც თუ არა, მაგისას ჩვენ ვერას მოგახსენებთ. დღეს ხომ აგვიხდა სურვილი! რას ვინაღვლით ხვალისათვის, ქართველები არ ვართ: დღეს ქართველებს მუცელი მაძღარი გვაქვს; მერე რაც იყოს, იყოს. დე ჯანი გავარდეს, მაიცა, ბიჭო ლავაში, დაასხი ღვინო!! იქნება ხვალ ვიხოცებით!.. დღეს ვიქეიფოთ, ხვალ ვიზრუნოთ... ეჰ, ეს ესრე, მარამ დახე ჩვენ ბეჩაობას: ბუნებამ, თითქოს იწყინაო, როგორ თუ ჩემის განკარგულებით მოვლენის „შესანდობარი“ დაალევინეს გურჯაანელებმა „ივერიის“ მკითხველებსაო,—მოგვისია საშინელი საქონლის თურქული და მთელს საქართველოს და ზედაც მთელს ქართლსა მედგარი ჭირი მიაყოლა. ეს არაფერი.

ბუნებამ, გაჯავრებულმა, როგორ თუ ჩემს მოწყალებაზედ (ამ ორ-სამ წელიწადს ნაცარი რო აღარ მიუსიე საქართველოსაო.) „ივერიის“ მკითხველებმა გულ უხვათ ამოიქშინესო (კინაღამ ნაცრის შესანდობარიც არ დალიესო), მითომ წრეულ საუკეთესო ღვინით ჩავიმტკბარუნებთ პირსაო,—აავენა ნაცრის ბური და იფიქრა: ნაცრით მაგდენს ვერაფერს დავაკლებო,—წამოგვიშინა გასაოცარი სეტყვა **) და ვენახ-ბოსტნეულობა ერთიანად გაგვინადგურა: ესეც არ დაგვაჯერა გულგამწყრალმა ბუნებამ და მოგვისია ხანგრძლივი გვალვა ივნისის ხუთიდამ თითქმის აგვისტოს ნახევრამდინ. ესეც არაფერი.

---

*) იხილე „ივერიის“ მე 14 №-ის 2 გვ.

*) იხ. „ივერიის“ მე 17 №-ის 9 გვ.

როგორ თუ „ივერიის“ მკითხველებმა მიჭქარესო, რომ „აბრეშუმის ჭია სწორეთ ნაცრის გადავარდნას ელოდაო; ნაცრის გადავარდნისათანავე, აბრეშუმის ჭიამ უხვად გააბ-გამოაბა თვისი ხასიათებიო,“ ბუნებამ კი ნიჩბებით ახვეტინა ჩვენს ქართლ-კახელ მანდილოსნებს აბრეშუმის ჭია, ისრე გაწყვიტა ჩალხზე გასვლის დაპირების დროს. ესეც კიდევ არაფერი.

გვალვამ მალიან შეაწუხა სიღნაღის მაზრის ვენახები, მაგრამ ახლა ლამის არის წვიმამ თავი მოგვამულოს; ეს ოთხი-ხუთი დღეა წვიმს... (გეთაყვანეთ, წარღვნა კი არ იყვეს!!) ვენახები ვერაფერს იმედს იძლევიან; კარგათ ბლომათ დაიკრიფა ვენახები, მარამ გამოსავალზედ ჩივილის მეტი არა ისმის რა: გოდორს ერთი ჩაფი ვერ გამოდისო.

წრეულ ეტყობა ღვინოც მდარე იქნება და ცოტაც იქნება. პურის მვირობასაც უნდა მოველოდეთ: ვინ არ იცის რომ კახეთის ღარიბს სიმინდი და ფეტვი უდგამდა სულს და წელს სიმინდიც და ფეტვიც სულ ამოაგდო გვალვამ... მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

პ. ცხილოელი.

---

**საგარეჯო.** *) უფალო მეგაზეთე! თქვენ გაზეთში ბევრჯელ წაგვიკითხნია სხვა და სხვა ქვეყნებიდამ, ზოგი საჩივარი, ზოგი თხოვნა და ზოგიც გამოცხადება, მაგრამ მე კი თქვენთან ერთი მოსახსენებელი რამე მაქვს და ამიტომ გევედრები იქნება როგორმე დაბეჭდოთ თქვენ გაზეთაში. ჩვენი ქართველი გლეხ-კაცებისთანა დაუდევარი კაცი, ქვეყნის ზურგზედ არ იპოვება შენი ჭირიმე. როგორიც ალხანაო ისეთი ჩალხანაო, ანდაზაა, სწორეთ როგორიც ჩვენი ხოფლის ხალხია, ისეთი მოხელეებიც ჰყავს. არაფრის გაგონება არა აქვთ თქვენი ჭირიმე. სასოფლო საქმეზედ თქვენ არ მომიკვდეთ ისინი ყურს არ გაიბერტყამენ, თუნდ სოფელს ცეცხლი ეკიდებოდეს და იმათ შეეძლოთ იმისი გაქრობა. და თუ კი უთხარი ამა და ამ ადგილას ინდოურია შესაჭმელიო, ღვთის წყალობა გაქვს ვეჟო ისინი გასწევენ მუნმულით თვალებ გაჭყეტილნი. ჩემი საჩივარი შენი ჭირიმე აი რა არის: შარშან პურის მაღაზიის ზედამხედველათ დამაყენეს და ერთიც ამხანაგი მომიჩემეს. მოგვცეს ორას ორმოცი კოდის სია, უნდა კალოზე გვევლო და მოგვეკრიფა. ჩემმა ამხანაგმა ერთი კვირა მდია, რო დაინახა არაფერი სარგებლობა ჰქონდა თავი დამანება......

. . . , . . . როგორც იყო გაივაგლახით მოვაგროვე ას სამოციოდ კოდი პური. ჩავყარე ჩვენ ახალ მაღაზიაში, ბატონო, გაზაფხულზე წვიმების დროს ზემოდან წვიმა ატანდა ძალას და ძირიდან სინოტიე. დაუფარცხავათ გაჩნდა მაღაზიაში ჯეჯილი, მივდიოდი, მოვდიოდი ყოველდღე, უცხადებდი ჩვენ მოხელეებს: კაცნო ამ პურს ნუ გაფუჭებთ უპატრონოთა მეთქი. აჰი შენ არ მომიკვდე, ყურიც არ გაიბერტყეს, როცა ნახევარი მეტი პური წახდა და ხალხმა პურის თხოვნა დაიწყო, მაშინ მოსწერეს გუბერნატორს ნებართვის მიღება, მაგრამ გუბერნატორმა მოსწერა ჯერ წინაწლების ანგარიში წარმომიდგინეთო რამდენი პური მოაგროვეთ თავდაპირველათო და რა მოგება მიეცაო. მოუვიდათ ეს მოწერილობა და ვითომც აქ არაფერი ამბავიაო, ვითომც არ გაუგონიათო, გაანებეს თავი, არც ანგარიში წარუდგინეს და არც პური დაურიგეს ხალხს. პური თითქმის ორი მესამედი კი დალპა, მაგრამ საკვირველი ეს არის, — რა ანგარიშს წარუდგენენ, არსად არის დავთრები, თუ მაღაზია წინეთ ვის ხელში იყო, რამდენი კოდი პური იყო თავდაპირველათ მოგროვილი, შემდეგ რა მოემატა. ეს მარტო ალახმა და იმათ ვისიც ხელში მაღაზია იყო იმათ იციან. ვეყო რვაასი კომლი მცხოვრებელი ვართ საგარეჯოში, ამ რვა წლის წინეთ მოკრიფეს პური კომლობრივ მაღაზიისთვის, ოჯახიშვილებზე ოროლი კოდი და ღარიბ გლეხებზე ნახევარ ნახევარი კოდი, და ზოგზოგზედაც თითო კოდი, უკანასკნელი ჩვენის ანგარიშით უნდა შემდგარიყო შვიდასი კოდი პური, მაგრამ ახლა ჩვენ მაღაზიაში სჩანს მარტო ორას ორმოცი კოდი პური. რა უყვეს შვიდასი კოდი პური და რა უყვეს მისი მოგება? ამ საქმის მომქმედნი როგორ გაბედამენ და წარუდგენენ ანგარიშს გუბერნატორს. მე ვიცი რო ამისთანა უბედურება თითქმის ყველა სოფლებში არის და პატრონები კი არავინა ჰყავთ. კარგი იქნებოდა შენი ჭირიმე, რო ისეთი მცოდნე კაცებისთვინ დაევალებინათ და

---

*) ეს წერილი მოგვივიდა გლეხისაგან და შეუცვლელად ვბეჭდავთ.

უსათუოთ სრული ანგარიში მოეთხოვნათ ჩვენი, მოხელეებისთვის და ვისაც მაღაზია ჭნარებია. ამას გევედრები: შენი ჭირიმე, იქნება როგორმე ამაზე მიაქციონ ყურადღება და ჩვენ საცოდავ ხალხს გააგებინოთ რამე, თორე ცხვრები ვართ, არა გაგვეგება რა.

გლეხი ზ. როსტიაშვილი.

---

## საპოლიტიკო ამბები

**საფრანგეთი.** არჩევანის დღე მოუახლოვდა საფრანგეთს. დღე დღეზედ ველით ტელეგრამმას მასზედ, თუ ვინ გაიმარჯვა: რესპუბლიკამ, თუ ამ ახირებულმა მაკ-მაგონმა. მინამ ჩვენ ამ ლოდინში ვართ, მაკ-მაგონი და მისი მინისტრები დიდს ჭაპან-წყვეტაში არიან, რომ როგორმე თავის მომხრენი ამოარჩევინონ ხალხსა. ამისათვის არა ღონისძიებას არ თაკილობენ. აი მაგალითად რას იწერება გაზეთი „Temps“: „სულგრძელება, მართებულება, ყოველივე ზდილობა მიღებული მოცილეთა შორის, საფრანგეთში ამ ჟამად უკუმიგდებულია და შეგინებული. ყოველს ღონისძიებას აწინდელ მთავრობისას ზედ აჩნევია ბეჭედი სულ-დაბლობისა, მძულვარებისა და ტყუილ-უბრალოდ მიზეზიანობისა. მაკ-მაგონს და მის მინისტრებს თვალში ეჩოთირებათ და უშლისთ გამბეტას პარლამენტის ოპოზიციის მოთავეს, მიზეზს უდებენ და სამართალში აძლევენ. ლიბერალების გაზეთები უფთხობენ ძილსა და მთავრობა არ აძლევს გასყიდვის ნებას. იქამდის მივიდნენ, რომ ყველგან საცა კი ისყიდებოდა ხელსახოცები ტიერის პორტრეტითა აუკრძალეს და წაართვეს. ერთმა გაზეთმა მოინდომა გამოსახვა რგოლისა თავის გაზეთში, პრეფექტმა რაღაც იგავი შეჰსწამა და აუკრძალა რგოლების გამოსახვა. საფრანგეთს ამისთანა დღენი თავის დღეში არ დაჰსდგომია. არ ვიცით, ვიცინოთ ამ საქმეზედ, თუ განვრისხდეთ. ვერ მოგვიფიქრია, რა იარაღით უნდა შეებას კაცი იმ კაცებს, რომელთაც დაივიწყებას მიჰსცეს ყოველივე მართებულობა და რიგიანობა ბრძოლისათვის დაწესებული. „თქვენ წინადვე არ მაცნობეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენ ასე სულელი ბძანებულხართთ,“ მიჰსწერა ერთხელ თვის მოცილეს ვოლტერმა. თუმცა უფრო მართებულად, მაგრამ ჩვენც თითქმის ამასვე შეუთვლით მინისტრს ფურტუს: „თქვენ წინადვე არ გვაცნობებთ, რომ თქვენის რისხვის გამოსახატავად ასეთი მცირე ხაზინა გქონიათ ჭკვის გამჭრიახობისა.“ მაკ-მაგონისა და მისის მინისტრების მსჯელობა რთული არ არის. რაც უნდა მოხდეს, მათ ისა სურთ, რომ უსათუოდ და უეჭველად გაიმარჯვონ და ფიქრობენ, რომ გამარჯვება ყოველს საძაგლობას დაჰფარავს და გაამართლებსო. ამ სახით ჩვენც იძულებულ გვყოფენ იგივე იარაღი ავიღოთ ხელში საბრძოლველად, მაგრამ მეტი არ იქნება ვიცოდეთ, რომ ჩვენ წინ ასეთი მოცილე გვიდგა, რომელსაც დაჰკარგვია ყოველი კეთილ-შობილური გრძნობა, თავაზიანობა და სინიდისიანობა; ერთის სიტყვით, ჩვენდა მოცილეთ გამოდის იმისთანა მთავრობა, რომელმაც უარ-ჰყო ყოველი სასახელო თვისება უფლებისა და მის მაგიერ შეითვისა ყოველივე სიბოროტე განკერძოებულის დასისა.“

არც მთავრობის მოპირდაპირენი, ესე იგი, რესპუბლიკელნი არიან გულ-ხელდაკრეფილნი. ესენი თუმცა სრულის მართებულებით და ღირსებით იქცევიან, მაგრამ ყოველს რიგიანს და კანონიერს ღონისძიებას კი ხმარობენ, რომ თავისის დასის კაცები ამოარჩევინონ ხალხსა. საფრანგეთის სენატის რესპუბლიკელთ წევრთა მანიფესტი გამოაცხადეს, რომელშიაც მოიხსენეს, პალატი იმიტომ გადააყენესო, რომ პალატს უნდოდაო რესპუბლიკა დაემყარებინაო და ქვეყნის მშვიდობიანობის დამარღვეველი მოქმედება სამღვდელოთ ამოეკვეთნაო. სხვათა შორის ამ მანიფესტში ჰსწერია: „ამ ჟამად ჩვენმა ქვეყანამ გადაწყვეტილად უნდა ჰსთქვას,—ერთის კაცის ბატონობა სურს, თუ თავით თვისით გამგეობა თვისთა საქმეთა. პირველი საშიშია იმ თავისუფლობისათვის, რომელიც მოპოვებულ იქმნა ჩვენგან 1789 წელსა და მშვიდობიანობისათვის როგორც შინა, ისე გარეთაც. თვით მმართველობამ კი უნდა დაამყაროს რესპუბლიკა, აღადგინოს წესიერება და დაამკვიდროს მშვიდობიანობა.“ დასასრულ მანიფესტი იწვევს ხალხს გადაწყვეტილად წარმოსთქვას თვისი ნება-ყოფლობა და ამასთანავე ამბობს, რომ ამომრჩეველთა ნება აღსრულებულ უნდა იქმნასო.

რესპუბლიკელ კამიტეტს პარიჟის მეცხრე ოლქისას გაუგზავნია წერილი ჟიულგრევისათვის და უთხოვნია, რომ თქვენ, როგორც ყველაზედ ღირსეულმა კაცმაო, უნდა მიიღოთ საფრანგეთის დემოკრატიის თაოსნობა ტიერის მაგიერ. ამ წერილში სხვათა შორის მოხსენე-

ბუღის შემდეგი: „ჩვენ მხოლოდ საყოველთაო სურვილს ვასრულებთ მით, რომ გთხოვთ მიიღოთ ჩვენი დეპუტატობა. თქვენი ამორჩევა, უმეტეს ყოველს სხვაზედ, დაუმტკიცებს როგორც საფრანგეთსა, ისე ევროპასა რომ ერთის კაცის ბატონობას აჯობა რესპუბლიკამ და პარლამენტალურმა წესიერებამ. თანამდებობა პრეზიდენტობისა, რომელსაც თქვენ ეგრე ღირსეულად ასრულებდით როგორც ნაციონალურს კრებაში, აგრეთვე უკანასკნელ პალატაში, იძულებულ გვყოფს აღგირჩიოთ თქვენ, ჩვენთა მომხრეთა საყოველთაო სურვილით, მოთავედ და წინამძღვრად სამას სამოცდა სამის რესპუბლიკელთ უმრავლესობისა, რომელიც აწ გადაყენებულია და რომელიც ხელახლად უფრო გამრავლებული დაბრუნდება პალატაში თქვენისა და საყოველთაო არჩევანის შემწეობით. ჩვენ მადლობელნი ვართ თქვენი, რომ ჩვენთა კეთილის-მყოფელთა თხოვნის პატივი დაჰსდეთ და მათი თხოვნა მიიღეთ. ამ შემთხვევაში არ გაგვიმტყუნეთ ის იმედი, რომელიც თქვენზედ მთელს საფრანგეთსა ჰქონდა და აქვს; თავის მხრით საფრანგეთიც იქმს მას, რისაც თქვენ ნება გვაქთ' რომ მისგან მოელოდეთ. 16 მაისის მოღვაწეთაგან მომზადებული და ჩამოვარდნილი განხეთქილება, ამ ჟამად არჩევანამდე, სუფევს მარტო გადაყენებულის პალატის უმრავლესობისა და მთავრობის შორის, მაგრამ ხვალ კი ჩვენი ქვეყანა თავის სიტყვას იტყვის და თუ მთავრობა ამ სიტყვის წინ ქედს არ მოიხრის, განხეთქილება იგი იქმნება ერთის კაცისა და მთელის საფრანგეთის შორის. პარიჟის ამომრჩეველნი თქვენს ამორჩევაზედ დადგნენ და დიდის იმედით ელიან არჩევანის დაბოლოებას.“ ამ წერილზედ ხელი უწერიათ სხვათა შორის გამბეტას და ვიქტორ ჰუგოს.

—პარიჟიდამ ტელეგრამმა მოვიდა, რომ 195 კაცი მაკ-მაგონის მომხრე და 315 კაცი მისი წინააღმდეგი რესპუბლიკელნი ამოურჩევიათ.

---

**ავსტრი-ვენგრია.** თუმცა ავსტრი-ვენგრიის იმპერატორმა სადღეგრძელო წარმოსთქვა რუსთა იმპერატორისა კაშაუში, თუმცა ავსტრიის მინისტრმა ანდრაშიმ და გერმანიისამ ბისმარკა ზალცბურგში ერთმანეთი შინაურულად ინახულეს და თითქმის მორიგდნენ კიდეც, თუმცა პეშტში და ვენაში მინისტრებმა პალატების კითხვაზედ სახათრიჯამო პასუხები მიუგეს, თუმცა ყოველივე ეს მშვიდობის საყოფელი ნიშნები გულს უკეთებს ადამიანს, მაგრამ მაინც და მაინც არ ვინ იცის ხვალინდელი დღე რას მოუტანს ევროპასა. ევროპის აწინდელი მდგომარეობა მაინც ამღვრეულია და არ არის თავის მშვიდობის დონეზედ მოსული. ამ ამღვრეულობის მიზეზი უფრო ავსტრი-ვენგრიის ჭოჭმანებაა აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ. ავსტრი-ვენგრია ძალიან ტოკავს და თვითონაც აქამომდე არ იცის ვის მიემხროს, რუსეთსა თუ ოსმალოს. შინაურობაში ავსტრი-ვენგრიას მეტად ძალას ატანენ ვენგრიელები და ეწევიან ოსმალოსაკენ და გარედამ კიდევ გერმანია, ჯერ ხანობით მაინც, რუსეთის სასარგებლოდ ითათბირებს. აი ეხლაც ვენგრიელთა შორის შეთქმულობაც აღმოჩნდა არამც თუ მარტო რუსეთის წინააღმდეგ, თითქმის თვით ავსტრიის წინააღმდეგაც ვითომ იმ საბუთით, რატომ ავსტრია აშკარად არ ემხრობაო ოსმალეთსა. ვენაში და პეშტში ამ შეთქმულობას სასაცილოდ იგდებენ, მაგრამ სხვა ქვეყნებს კი ეს საქმე სახუმარი არა ჰგონიათ. აი ამ საგანზედ რას იწერება ბერლინის გაზეთი National Zeitung: „თუ ჩვენ გკითხვენ, ამ შეთქმულობაში სახუმარი არ არის რა. 5,000 შეთქმულნი სამყოფი იყვნენ რკინის გზა აეშალათ და რადგანაც ტანსილვანიიდამ (საცა შეთქმულობაა აღმოჩენილი) იასსამდე სულ ორმოცდა თექვსმეტი ვერსტია და ეს ერთი გზაა რუსეთისა და დუნაის მხედრობის შორის, ამის გამო ავსტრიის საზღვარზე შედგენილს შეთქმულობას უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა. გარდა იმისა რომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ომის წარმოებისათვის, ეს ამბავი მითაც შესანიშნავია რომ ავსტრიას დაერღვა შინაური მშვიდობიანობა. ხოლო საკვირველი ეს არის რომ მშვიდობიანობის დამარღვეველად აღმოჩნდნენ სლავიანები კი არა, რომელთაც ყოველგვარს აღსაშფოთებელს განზრახვასა ჰსწამობდნენ, არამედ ვენგრიელნი“.

ამბობენ რომ ამ შეთქმულობაში ინგლისის ფული ტრიალებდაო და პოლაკნიც გარეულანო.

ერთს პოლაკს გაუცია შეთქმულნი და ეხლა მთავრობას სასტიკად მოუკიდნია ხელი დამნაშავეთათვის. ბევრნი შეუპყრიათ და სხვათა შორის გამოჩენილი სიმდიდრით და გავლენითა ვენგრიის მამულის-პატრონი ბალაჩი

და პალატის წევრი—გულდვი. თუ ამისთანა კაცებსაც არ მოერიდა მთავრობა და შეიპყრა, ჰსჩანს, რომ იგი შეთქმულობა თვით ავსტრი-ვენგრიის მთავრობას ხუმრობად არ მიაჩნია.

—

**იტალია.** იტალია დღე დღეზედ მოელის პაპის სიკვდილს. ამ პაპის ტახტის დაცლას დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიისათვის, რომელიც შეერთების შემდეგ სულ იმის ცდაში იყო რომ სახელმწიფო საქმეთა ზედა გავლენა პაპისა და მის ხელქვეითის სამღვდელოისა სრულიად მოესპო და სახელმწიფო ეკკლესიისაგან განეშორებინა. პაპი და მისი მიმდევარი სამღვდელოება, რასაკვირველია, ამას ეწინააღმდეგებიან და მრავალს უსიამოვნობას მიაყენებდნენ ხოლმე იტალიის საერო მმართველობას. რომ იტალიამ თავის სურვილს ფართო გზა გაუხსნას, რასაკვირველია, თავისი მეცადინეობა უნდა მიჰმართოს მას, რომ ახალ პაპად იმისთანა კაცი ამოარჩევინოს, რომელიც მთავრობას თუ ხელს არ მოუმართავს, არ ეწინააღმდეგება მაინც. ამისავე მსურველია გერმანიაც, რომელსაც ბისმარკის თაოსნობით შინ დიდი ხანია ბრძოლა აქვს გამართული კათოლიკეთა სამღვდელოთა წინააღმდეგ, რადგანაც აქაც კათოლიკეთა სამღვდელო თავისას არ იშლის და სახელმწიფოთა, ესე იგი, საერო საქმეებში ხელის გარევა უნდა. ამ გარემოებამ და იმან, რომ მაკმაგონის შემწეობით საფრანგეთში წელში გაიმართა სამღვდელოთა დასი, იტალია იძულებულ ჰქმნა დაახლოებულიყო გერმანიას, რომელთაც ამ შემთხვევაში ერთი და იგივე სურვილი და საჭიროება აკავშირებს. რადგანაც მოსალოდნელია, რომ საფრანგეთში მაკ-მაგონის მომხრეთა გამარჯვების გამო ევროპიის საქმე აიმღვრას, ესე იგი, გერმანიას და იტალიას მშვიდობიანობის დარღვევის ფიქრი მიეცეთ საფრანგეთის მხრით და რადგანაც მოსალოდნელია, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ავსტრიამ საფრანგეთის მხარე დაიჭიროს, ყოველ ამის გამო იტალია და გერმანია დღეს ცდილობენ ერთმანეთის მხარი მიჰსცენ და ყოველ შემთხვევისათვის მომზადებულიყვნენ საერთო მოქმედებისათვის. ესეა თუ არა, რომის კორრესპონდენტი ერთის ნემეცურის გაზეთისა (კელნის გაზეთისა) 12 სეკტემბერს აი რას იწერება: „ამ ჟამად ევროპაში მოგზაურობს იტალიის პალატის პრეზიდენტი კრისპი. ამისი მისვლა პარიჟსა და ვენაში მეტად ღირს შესანიშნავი ამბავია. კრისპი არც ხელის-უფალი კაცია და არც დიპლომატი. უცხოთა საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ ამას არავითარი მინდობილობა მთავრობისგან არა აქვსო. მაგრამ აქ კი ყველა გულ-დაჯერებულია, რომ კრისპის სახელმწიფო და დიპლომატიური საქმე აქვს მინდობილი. ამ მოგზაურობით კრისპიმ ის საქმე ჰქმნა, რომ გერმანიას დაუახლოვა არამც თუ თავისი საკუთარი დასი, რომელიც ყოველთვის დაახლოებულიყო, არამედ მთელი იტალიაცა და მით შეასრულა მძიმე სახელმწიფო საქმე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჟამად, როცა საფრანგეთი ჯერ კიდევ გაჭირების დღეს არ გადასცდენია.“

ვენის კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთის „Daily Telegraph“ აცნობებს თავის მკითხველებს სანდო წყაროებიდამ, რომ კრისპისა და ბისმარკის ლაპარაკი ორ საგანზედ იყო. ერთი საგანი ის იყო, რომ ამ პაპის შემდეგ ვინ ამოვირჩიოთო და მეორე საგანი ისა, თუ როგორ არიან ერთმანეთში საფრანგეთი და გერმანია. პირველის საგნის შესახებ ბისმარკმა ჰსთქვაო, რომ ამ პაპის სიკვდილისვე უმალ საჭიროა საბოლოოდ ბოლო მოეღოსო ბრძოლას ეკკლესიისასა და სახელმწიფოს შორის, ან ნება-ყოფლობითო და ან, თუ გაჭირდა, სასტიკის ღონისძიებითაო. თუმცა კრისპის ნება არ ჰქონდა თავისის მთავრობისაგან რაიმე გადაწყვეტილი მოვალეობა ეკისრებინაო, მაგრამ იმედს კი მიჰსცემდა ბისმარკსაო, რომ რომის მთავრობა მხარს მიჰსცემსო. როგორც ეტყობა ბისმარკს აღთქმა ჩამოურთმევია, რომ იტალია მოეხმარება გერმანიას, თუ საფრანგეთმა გერმანიას ომი აუტესაო.“

—

**სერბია.** სულ ამას იწერებიან და იწერებოდნენ, რომ სერბია დიდს მზადებაშიაო და აი დღესა თუ ხვალე ომსაც გამოუცხადებსო ოსმალეთს. ბევრი კოკა წყალი დაიღვარა მას აქედ, მაგრამ სერბია ჯერ ისევ ჩუმად არის, თუმცა კი გაზეთები დღესაც იმედოვნებენ, რომ სერბია ამ მოკლე ხანში ომს დაიწყებს. თუმცა ბელგრადიდამ იწერებიან, რომ სერბიამ საფრანგეთში 50,000 შასპოს თოფი გააკეთებინა და მიიღო კიდეცაო, მილიციაც გამოუწვევია 26 სეკტემბრისათვისაო, ესა და ეს კაცებიც დანიშნეს სარდლებათაო, რუსებმაც რვა მილიონი ფული მიაშველესო, მაგრამ ჩვენ მაინც ამას ვიტყვით

რომ სერბია იმ დრომდე ომში მონაწილეობას არ მიიღებს ვიდრე ერთი დიდი გამარჯვება არ მიეცა რუსის ჯარსა.

---

**რუმინია.** რუმინელებს დიდი ფიქრი მიჰსცემიათ მასზედ, თუ უფრო ავი დღე არ დაადგეთ ომის შემდეგ ვიდრე ომის წინად იყო და ამ ფიქრს ცოტად თუ ბევრად აუღელვებია რუმინელნი. ამბობენ, რომ ბისმარკს, რომელიც ამ ბოლოს დროს რუსეთის დიდ-მომხრედ გამოჩნდა, უთქვამსო, რომ რაც უნდა მოხდეს, მაინც რუმინიას ხელსაც ვერავინ დააწებსო. ამ ამბავს ძალიან დაუშოშმანებია რუმინელების ელდა-ცემული გული.

---

**ჩერნოგორია.** ვენის გაზეთი „Deutsche Zeitung" იწერება, ვითომც ცეტინიდამ (ჩერნოგორიის სატახტო ქალაქია) ტელეგრამმა მოსვლოდეს მასზედ, რომ ჩერნოგორიის მთავარს წრილი მოურთმევია რუსთა ხელმწიფისათვის და ამ წრილში გამოუცხადებია შემდეგი:

„რადგანაც ზემო გერცოგოვინა სრულიად განთავისუფლებულია ოსმალოს ჯარისაგანაო, ამის გამო მე ჩერნოგორიის მხრით ომი გამითავებიაო."

ეს ამბავი მით უფრო საკვირველია, რომ ეხლა ჩერნოგორიელებს შეეძლოთ ადვილად, თითქო უომრადაც, აეღოთ მოსტარი, სარაევო და სკუტარიცა, და რა დროს ომის გათავება იყო, თუ ზემოხსენებული ტელეგრამმა მართალია. ამბობენ, რომ თუ ეს ამბავი მართალიაო, ცხადიაო რომ ჩერნოგორია თავისის ნებით მაგას არ მოიწადინებდაო, ჰსჩანს აქ ძალა დაუტანებია ვისმეო. ამ ძალდატანებას ავსტრიას აბრალებენ. შარშან, როცა ჩერნოგორელებმა ვუჩი-დოლზე გაიმარჯვეს და მათ მთავარს უნდოდა მოსტარზედ წასვლა, მაშინ ავსტრიის დესპანმა ტიმმელმა მაგის ნება არ მიჰსცა, ეგ ავსტრიის სახელმწიფოს მავნებელი საქმე იქნებაო. ამ წელსაც, ამბობს რუსის გაზეთი „Московскія Вѣдомости", ტელეგრაფმა არა ერთხელ გვაცნობაო, რომ ავსტრიამ ჩერნოგორიას ხაზი გაუტარაო და შეუკვეთაო ამ ხაზს იქით გადასვლის ნებას არ მოგცემო.

თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშ ჩერნოგორიის მხრით ომი გათავებულა. მაშ ინგლისის გუდიანს პოლიტიკას და ავსტრიის ღობე-ყურეს მოდებას გაუჭრია, როგორც ჰსჩანს.

---

## ომის ამბები

4-ს ოკტომბერს ქალაქში მოვიდა ოფიციალური ტელეგრამმა, რომელშიაც ჰსწერია: 3-ს ოკტომბერს მუხთარ-ფაშას გზა გადუჭრით ყარსისაკენ; მისი ჯარი ამოვსწყვიტეთ; რაც ზარბაზნები და ტყვე დაგვრჩა, ჯერ ამისი რიცხვი ცნობაში არ არის მოყვანილი.

ამავე საგანზედ გაზეთის „Кавказъ" კორრესპონდენტი იწერება: „3-ს ოკტომბერს. დღეს დილის ცხრა საათზედ ჩვენი ჯარი წარემართა მუხთარ-ფაშის სიმაგრეებისაკენ. კავკასიის გრენადერის დივიზიამ ორის საათის ბრძოლის შემდეგ იერიშით დაიჭირა უმთავრესი სიმაგრე ოსმალოთა სადგურისა—მთა ავლიარი. მუხთარის ჯარი ძალიან დამარცხდა ჩვენ დაგვრჩა ზარბაზნები, რამდენიმე ასი ტყვე, მრავალი თოფ-იარაღი და სურსათ-ხორაგი. მუხთარს უნდოდა გაეპო ჩვენი ჯარი და გასულიყო ან ყარსისაკენ და ან არზრუმისაკენ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ და საშინლად არეულნი გაიფანტნენ ყაგიზმანისაკენ(ერევნის მხრივ არის). ალაჯადაღი, ავლიარი, იაღნი, ორლოყი, ვიზინყევი ჩვენ ხელშია. დიდმა მთავარმა და კორპუსის წინამძღომმა ღამე გაატარეს ნაომარს ადგილს. ოსმალოს ჩვენი მდევარი უკან მიჰსდევს".

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის მხედრობის მთავარ-სარდლის ტელეგრამმა:

კარაიალა, 4-ს ოკტომბერს. ორსა და სამს ოკტომბერს ომის საქმე ამაში მდგომარეობდა: ღენერალმა ლაზარევმა თავის ჯარით შემოუარა ოსმალოთა და ორს ოკტომბერს დაიჭირა ოლოყის სიმაღლენი, გაჰყვარა ოსმალნი და გააქცია ყარსისა და ვიზინკევისაკენ. რადგანაც ამით ერთი ნაწილი ოსმალოს ჯარი ჩვენის ჯარისაგან გარშემორტყმული იქმნა, ამის გამო სამს ოქტომბერს დანიშნულ იქმნა საერთო იერიში მუხთარ-ფაშის სიმაგრეთა წინააღმდეგ, რომლის უმთავრეს ადგილს შეადგენდა გამაგრებული მთა ავლიარი. ექვს საათზედ ჩვენმა ჯარებმა სულ ერთად მიჰმართეს, მას შემდეგ რაკი საშინელის ზარბაზნის სროლით გზა გაიხსნეს ავლიარისაკენ. ღენერალი გეიმანი ერევნისა, გრუზინსკისა პიატიგორსკის პოლკებითა და ერთის „სტრელკოვის" ბატალიონით შუა დღის დროს სახელოვანის იერიშით მივიდა ავლიარზედ და დაიჭირა. ამ მთის აღებითა მუხთარ-ფაშის ჯარი განაწილებულ იქმნა. ერთი ნაწილი მუხთარის ჯარის

მიიქცა ყარსისაკენ, მაგრამ წინ დახვდნენ ღენერალი ლაზარევი, უკან მიჰყვა ღენერალი გეიმანი და ხუთის საათზედ ის ოსმალოს ჯარი სრულიად დამარცხებულ იქმნა და გაიფანტა. ოსმალოთ მრავალი კაცი მოუკვდათ და რამდენიმე ათასი კაცი ტყვე და ოთხი ზარბაზანი დაგვრჩა ჩვენ. ამავე დროს სამი დივიზია ოსმალოს ჯარისა, დაშთომილი მემარჯვენე მხარეს ალაჯინის სიმაგრეებიდამ გამოყვარეთ, ყოველ მხრივ გარს შემოვერტყით, საშინელი ზარალი მივაყენეთ ასე, რომ საღამოს რვა საათზედ ტყვედ მოგვეცნენ. მრავალი ტყვე, შვიდი ფაშა ოცდა თორმეტი ზარბაზანი და მრავალი სამხედრო ქონება დაგვრჩა ჩვენ. მუხთარ-ფაშა ყარსში გაიქცა. ჩვენი ზარალი შედარებით დიდი არ არის.

— დუნაიზედ და ბალკანის ნახევარ კუნძულზედ შესანიშნავი რამ ომი არა მომხდარა რა. მთელის ქვეყნის თვალი მიქცეულია ეხლა პლევნაზედ, რომელსაც ჩვენი ჯარი შემომდგარი ჰყავს. ამბობენ, თუ რუსებმა პლევნა აიღესო და ამასთანავე იქ მყოფის ოსმან-ფაშის ჯარი მაღიან დაამარცხესო, მაშინ რუსის ჯარს ადრიანოპოლამდე და თითქმის სტამბოლამდენაც აღარაფერი არ დააბრკოლებსო.

— ოსმალოს სამ-ანძიანი ცეცხლის გემი შესეთქებია დუნაის წყალში ჩადებულს რუსებისაგან ნიღაბს. ნიღაბს უფეთქნია და გემი დაღუპულა წყალში. ჩვენებს ბაირაღი გემიდამ აუსხნიათ.

---

## თფილისის სამხედრო გიმნაზიაში მისაღებ ეგზამენიებისა გამო

ქართველები არაოდეს არ ყოფილან მოკლებული სწავლისა და განათლების სურვილს, არც ძველსა, და არც ახალ დროში, მაგრამ ისეთი სურვილი სწავლისადმი, როგორიც ამ უკანასკნელ წლებში გამოიჩინეს ქართველებმა, ვგონებ, არაოდეს არ ყოფილა მათ შორის. ამ სანუგეშო მოვლენას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს.

ძველ დროში, მინამ საქართველოს თავისით არსებობა ჰქონდა, ქართველები თუმცა მიზდევდნენ სწავლა-განათლებას, მაგრამ იდიალურად უყურებდნენ მას; ისინი სწავლას ეტრფოდნენ უფრო თვით სწავლისათვის და არა მისთვის, რომ ის საზრდოს წყაროდ მიაჩნდათ, როგორც, მაგალითებრ, ეხლა. ეხლანდელ საუკუნის დასაწყისიდამ, მას აქეთ, რაც საქართველოს ბედი შეიცვალა და შეუერთდა რუსეთს, საქართველოს ხალხის განათლების საქმე იკისრა, სხვათა შორის, მთავრობამ. მან დააწყეს რამოდენიმე სასწავლებელი ჩვენში და დაიწყო მოსწავლების ძებნა. ჩვენ ვამბობთ „მოსწავლების ძებნაო“ მისთვის, რომ მთავრობა მაშინ თითქმის ეხვეწებოდა მშობლებს შვილების შკოლაში მიცემას და ყოველ უმაწვილს, რომელიც კი შედიოდა სასწავლებელში, მთავრობა სიხარულით აიყვანდა ხოლმე და სახელმწიფო ხარჯით ზრდიდა. მაგრამ მსურველები მაინც ძრიელ ცოტანი იყვნენ. ეს მოვლენა, რასაკვირველია, არ შეიძლება მითი აიხსნას, რომ ქართველები, ვითომც, უმეცარი ხალხი იყო და არა ესმოდათ სწავლისა და განათლების მნიშვნელობა და საჭიროება, როგორც ზოგიერთნი ჩვენი კეთილის მყოფელნი ფიქრობენ. არა, ამისი ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ერთბამად ვერ მიეცნენ იმ უეცარს მოულოდნელ ცვლილებას, რომელიც მათ ცხოვრებაში მოხდა და ეჭვით დაუწყეს პირველად ყურება რუსულ სასწავლებლებს და მათ დანიშნულებას. შემდეგ კი, როცა მათ დაინახეს, რომ შკოლას ჩვენში არაფერი დაფარული საგანი არა ჰქონდა და ამ შკოლაში აღზრდილ კაცებს სამსახურში გზას უხსნიდა მთავრობა, ჯამაგირსა და ჯილდოს აძლევდა, ისინი დაემორჩილნენ თავიანთს ახალს მდგომარეობას, მიენდნენ შკოლას და ზოგიერთმა თავად-აზნაურებმა დაიწყეს კიდეც ახალ სასწავლებელში შვილების მიცემა. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა უმაწვილები სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ და მშობლები სრულიად არაფერს მონაწილეობას არ იღებდნენ მათს აღზრდაში.

ამას გარდა, ადგილობრივთა და განსაკუთრებითთა გარემოებათა გამო, ჩვენში ამ საუკუნის პირველ ნახევარში უმაწვილებს ის „პრივილეგიები“ ჰქონდათ, რომ იმათ არ აბრკოლებდა წლოვანობა შკოლაში შესვლის დროს ისე, როგორც ეხლა აბრკოლებთ, და ამის გამო შეჰყავდათ მშობლებს სასწავლებელში უმეტეს ნაწილად ძრიელ დიდები, ასე რომ მაშინ პირველ კლასში ხშირად შეხვდებოდით ისეთ მოზრდილ შეგირდსა, როგორიც ეხლა კურსს ასრულებენ დაბალ სასწავლებლებში. ამ გვარად უმაწვილები მინამ შკოლაში შევიდოდნენ, შეჩვეულნი იყვნენ კიდეც თავიანთ მშობლების სახლში უდარდელს ცხოვ-

რებასა და უზრუნველად დროების გატარებას. მაშასადამე ცხადია, რომ სასწავლებელში ისინი იმ ერთგულებასა და შრომას ვერ აღმოაჩენდნენ, რომელსაც სწავლა მოითხოვს.

სასწავლებლებიც, როგორც ყოველგან, ისე უმეტესად ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდის არ შეადგენდნენ ისეთ დაწესებულებას, რომელსაც შეეძლო მიეზიდა მოსწავლეების გული, გაერკვიებია მათი გონება, და სწავლა სასიამოვნოდ გაეხადა. პირველი ადგილი მაშინ შკოლებში მოსწავლეების ცემა-ტყეპასა და ლანძღვას ეჭირათ. თვითონ სწავლაც ჩვენ შკოლებში იმაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ გაკვეთილებს იმ ენაზე, რომელიც მათ კარგად არ ესმოდათ. ყველა ამ მიზეზების გამო ყმაწვილებს სასწავლებელი სატუსაღოდ მიაჩნდათ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ როგორმე განეთავისუფლებინათ თავი. ამიტომ უმეტესი ნაწილი მათგანი ჰსტოვებდნენ სასწავლებელს ნებით თუ ძალით და გარბოდნენ თავიანთ მშობლების სახლში, სადაც მათ ელოდათ მწევარ-მეძებრებითა და ქორ-მიმინოთი ნადირობა.

მშობლებიც, მართალი უნდა ვსთქვათ, უწინ დიდ ძალას არ ატანდნენ თავიანთ შვილებს, რომ ესწავლათ რამე. ეს იმიტომა, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის თავად-აზნაურებისა მაშინ მუქთად ცხოვრებდა ყ მ ე ბ ი ს ნ ა ღ ვ ა წ ი თ და აზრადაც არ მოჰსდიოდათ, თუ ოდესმე ამ უზრუნველ ცხოვრებას ბოლო მოეღებოდა.

მაგრამ ბოლოს, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა მოისპო, მშობლებმა დაინახეს სწავლის მიუცილებელი საჭიროება, როგორც საზრდოს წყარო, სხვათა შორის, და თითქმის ყველამ მათგანმა მოინდომა შვილების აღზრდა. ამის გამო ძლიერ აიწია ჩვენში მოსწავლეების რიცხვმა მთავრობამაც რასაკვირველია მიაქცია ყურადღება ამ გვარის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და მოუმატა სასწავლებლების რიცხვი, მაგრამ სწავლის მსურველები მაინც იმდენი არიან, რომ სამი ამოდენი სასწავლებლებიც რომ იყოს, რაც ეხლა არის, მაინც კიდევ ყველას ვერ დააკმაყოფილებს.

ღარიბის მშობლების შესაწევად მთავრობამ, იმას გარდა, რომ დააწესა ჩვენში სამოქალაქო გიმნაზიებთან პანსიონები, დაუწყო ღარიბ თავად-აზნაურების შვილებს გზავნა რუსეთში სამხედრო გიმნაზიებში. მშობლები სიხარულით თუ სიმწუხარით, ისტუმრებდნენ თავიანთ პატარ[ა] შვილებს შორეულს და უცხო ქვეყანას, რადგანაც სხვა სა[შ]უალება არა ჰქონდათ. მაგრამ ამას ის შედეგი ჰქონდა, რომ სამხრეთის თბილ ჰაერში დაბადებული და გაზრდილი ყმაწვილები ვერ იტანდნენ ჩრდილოეთის ცივსა და მავნებელ ჰაერს და უმეტესი ნაწილი მათგანი იხოცებოდ[ა] რუსეთში. ისინიც, რომლებიც ცოცხალი გადურჩებოდნენ მოდიოდნენ უკანვე თავიანთ სამშობლოში დასნეულებულ[ნ]ი, ხშირად სწავლის შეუსრულებლად. ამის მიზეზი ი[ს] იყო, რომ იმათ გზავნიდნენ რუსეთში ძლიერ პატარებ[ს] და ისე ცუდათ მომზადებულებს, რომ ბევრს მათგან[ი] რუსულიც არ ესმოდათ. მიიყვანდნენ თუ არა რუსეთში სამხედრო გიმნაზიებში, დააწყებინებდნენ სწავლა[ს] ერთად რუსის ყმაწვილებთან, რასაკვირველია, რუსულ[ს] ენაზე. მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ისინი ვერ ისწავლიდნენ ხეირიანად, იჩაგრებოდნენ როგორც აგებულებით ისე გონებითაც, და ბოლოს რამოდენიმე წლის შემდეგ სასწავლებლიდგანაც ითხოვდნენ და გზავნიდნენ უკანვე მშობლების ხარჯით.

ამ მიზეზისა გამო, სხვათა შორის, ჩვენმა თავად-აზნაურობამ საჭიროდ დაინახა და სთხოვა თავის ადრესში იმპერატორს, მისს უმაღლესობის ჩვენში მობრძანების დროს, უმაღლესის სწავლისათვის სასწავლებლი[ს] ბოძება და საშუალო სწავლისათვის სასწავლებლების რიცხვის მომატება. მთავრობამ საჭიროდ დაინახა მარტო სამხედრო გიმნაზიის დაარსება ჩვენში და თავად-აზნაურებს აღუსრულდათ ამ გვარად თავიანთი სურვილი. თავად-აზნაურობას, რაღა თქმა უნდა, დიდი იმედი ჰქონდა, რომ სამხედრო გიმნაზიის გახსნა სასარგებლო იქნებოდა იმათთვის და რამდენადმე მაინც დააკმაყოფილებ[და] იმათ საჭიროებას შვილების აღზრდის შესახებ. მაგრამ საქმე ის არის, მართალია, მოუტანა თუ არა მოხსენებულმა გიმნაზიამ ჩვენ ღარიბ თავად-აზნაურებს სასურველი სარგებლობა?

ამ კითხვის გადასაწყვეტად საჭიროა მივაქციოთ ყურადღება იმ პირობაებს, რა პირობაებითაც არის ჩვენში დაწესებული სამხედრო გიმნაზია და რა გარემოებით არის მოცული მასში ყმაწვილის შეყვანა.

თბილისის სამხედრო გიმნაზიას ისეთი განსაკუთრებითი დანიშნულება არა აქვს თავად-აზნაურებისათვის, როგორც უმეტეს ნაწილს რუსეთის შინა გუბერნიების

სამხედრო გიმნაზიებს აქვსთ. ეს სასწავლებელი არის დაწესებული საზოგადოდ კავკასიის აქეთ მხრის ყველა წოდების ხალხისათვის. უმაწვილებს იყვანენ „კონკურსის ეგზამენით,“ ესე იგი ბევრში არჩევენ მისაღებად მხოლოდ იმათ, ვინც გამოსაცდელ ეგზამენს უკეთესად დაიჭერს. ჩვენ, რასაკვირველია, ამ დედა-აზრის წინააღმდეგი არა ვართ; ჩვენ მხოლოდ ის გვინდა დავანახოთ მკითხველს, თუ რა შედეგი აქვს ამ დედა-აზრს იმათთვის, ვის თაოსნობითაც ეს გიმნაზია დაწესდა და ვინც სიხარულით მოელოდა მის გამართვასა, ესე იგი, ჩვენის თავად-აზნაურებისთვის.

გ. ი.

(შემდეგი იქნება.)

---

## თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა

ქ. თელავში 1875—1877 წ.

(შემდეგი *.)

### IV

ერთი კაცი უკუღმართად ვნახე, ერქვანთ ასხამს ფთებსა;
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის გაბდოს აკეთებსა;
მხვნელსა ვკითხე, რად ეგრე იქ? თქვა, მალა ხნავს აღმართებსა,
და მფარცხველმა თქვა: დაღმა მფარცხავალმა ხნულსა ეს მართებსა

დავით გურამიშვილი.

სამღვდელოთ ყრილობა 25 მაისს 1877 წ. წინა-ყრილობის განჩინებიდგან მკითხველმა ცხადად დაინახა, თუ რა უგზო უკვლოდ უყვარს ჩვენს სამღვდელოებას სხვა სასწავლებლის საქმეებზედ; დაინახა, რომ იმათაც, ვისაც ეს ენდობა, არაფერი იციან სწორედ არც სასწავლებლის საქმეებისა და არც მისის კანონებისა. თუ ესე არ ყოფილიყო, მაშ რა იყო მიზეზი, რომ თავში დაკრულებივით ამოიჩინიყეს დეპუტატებმა ერთი და იგივე უსაფუძვლო აზრი, სახელდობრ ჩვენ 15 ოკტომბრის 1874 წ. განჩინების ძალით მარტო მოსამზადებელი კლასი უნდა შევინახოთო. განა ჩვენი ერთგული ხელმძღვანელები სამღვდელოებისა ამას უწოდებენ სასწავლებლის წესდების ცოდნას? კითხვა იმაში კი არ არის, თუ რა მონაწილეობას მიიღებს სამღვდელოება სასწავლებლის ხარჯში, არამედ იმაში, თუ რა უნდა მიიღოს, რის მოვალე არის სამღვდელოება სასწავლებლის საჭიროების შესახებ. ეს კითხვა ყრილობაზედ არც ერთს დეპუტატს ფიქრადაც არ მოსვლია და ვერც მოუვიდოდათ ფიქრად ამასთანა უბრალო და კანონიერი აზრი. ჩემის ფიქრით კი და სასწავლებლის წესდების მოთხოვნილების მიხედვით, ეს კითხვა უნდა გამხდარიყო სამღვდელოთ გასარჩევად, ეს უნდა დაეკრათ იმათ ენაზედ, ეს უნდა გაეჯდომოდათ იმათ ძვალსა და რბილში, რომ ისინი უბრალო და უსაფუძვლო უბედობას არ შეემალა, არ გადაერივა. ამ გვარ უმეცრების დროს, ჩემის ფიქრით, საჭიროა შეიტყოს სამღვდელოებამ თავის მოვალეობა სასწავლებლის შესახებ, შეიტყონ სხვებმაც ესევე, რომ მღვდლებს ყველამ უჩვენოს მათი მოვალეობა და უთავბოლო ლაპარაკის დროს ამ საგნის შესახებ, ყველა მცოდნეს ნება ჰქონდეს ხმა ჩააკმენდინოს უთავ-ბოლო მოლაპარაკეებს.

ყველა სასულიერო სასწავლებლებს რუსეთშიაც და საქართველოშიაც ეძლევათ საეკლესიო ხაზინიდგან შტატით დადებული სასწავლებელზედ ფული, შემდეგის ხარჯისათვის:

1) ზედამხედველს სასწავლებლისას — — — 900 მ.
2) თანაშემწეს ზედამხედველისას — — — — 600 მ.
3) მასწავლებლებს: სამღვთო წერილისას — — 420 მ.
რუსულის ენისას — — 420 მ.
ბერძნულისას — — — 540 მ.
ორს მასწავლებელს ლათინურისას— — 840 მ.
არითმეტიკისა და გეოგრაფიისას — 520 მ.
წმინდა წერისა და საეკლესიო გალობისას 200 მ.

ჯამი — 4,440 მ.

შტატით დადებულ ფულს გარდა, საქართველო-იმერეთის კანტორა აძლევს კიდევ თავის შემოსავლიდამ:
1) სახლის შენახვის ხარჯად— — — 100 მ.
2) კანცელარიისათვის — — — — 12 მ.
3) ობოლთ და ღარიბთ მოსწავლეთათვის 1,400 მ.

ჯამი — 1,512 მ.

სულ სრულიად — 5952 მ.

თუ რომ ამ ფულის გარდა, სასწავლებლისათვის საჭირო იქნება სხვა ფულიც, მაშინ სამღვდელოებამ სასწავლებლის ოლქისამ უნდა შეავსოს ანუ დაჰფაროს ესრეთი საჭიროება თავის ჯიბიდგან და უფრო ეკლესიების და მონასტრების შემოსავლიდამ (სასწავ. წესდება §§ 2, 3, 24 მუხ. 2. Цирк. Ук. Св. Сѵнода 30

*) „ივერია“ № 31.

Апр. 1873 г № 18; Опред. Св. Синода 15 Сент./8 Окт. 1872 г. и 7 Март./3 Апр. 1872 г.) ახლა ვკითხოთ მღვდელ-დეპუტატებს: საფუძველი ექმნებოდათ რამე იმ თავგამოდებით მოლაპარაკე დეპუტატებს, რომლებიც ღრიალებდნენ, რომ ჩვენ მარტო მოსამზადებელი კლასი უნდა შევინახოთო, ან საფუძვლიანი იქმნება, რომ იმათ ჰსთქვან მარტო იმ საჭიროებაზედ უნდა ზრუნავდეს სამღვდელოება, რომელიც ჩვენ ვაჩვენეთ და მივიღეთ 15 ოკტ. 74 წ. განჩინებითაო, თუმცა მართლა განჩინებაში, როგორც ვიხილეთ, სამი საგანია მოხსენებული და არა მარტო მოსამზადებელი კლასი, როგორც ყვიროდნენ მღვდელ-დეპუტატები.

მაშასადამე თუ ვინმე მღვდელ-დეპუტატთაგანმა მიიღო და ჩაინერგა ის აზრი, რომ სამღვდელოთ უნდა იზრუნონ მხოლოდ 15 ოკტ. 1874 წ. განჩინებაში მოხსენებულს საგნებზედ, ის დარწმუნებული იყოს, რომ იმას ვერ გაუგია ვერც სასწავლებლის წესდება და ვერც სამღვდელოთ მოვალეობა სასწავლებლის შესახებ. გაიმეორებ ყველა მღვდლისათვის საცნობლად და სახსოვრად, რომ სამღვდელოება მოვალეა შეავსოს ნაჩვენებ ზემორე წყაროებიდგან ყველა საჭიროება სასწავლებლისა და არა მხოლოდ ის, რაც მოიხსენეს მღვდელ-დეპუტატებმა თავიანთ 15 ოკტ. 1874 წ. ყრილობის განჩინებაში. რომ ამ საჭიროებას ვერც ერთი სამღვდელოთ ყრილობა ვერ გასაზღვრებდა და ვერ გადასწყვეტამდა სამუდამოთ, ამას, მგონია, თვით მკითხველი მიხვდება. აქედან მკითხველი შეიტყობს იმ უარის უსაფუძვლობასაც, რომელიც სამღვდელოებამ მეორედ გამოაცხადა სახლების განშენების ხარჯის შესახებ და ეს ხარჯი დააკისრა ხაზინას (ეყურებათ, ნეტავ, მღვდლებს, რა არის ხაზინა, შიგ ვისი ფულია, და ამ ფულს დანიშნულება აქვს რამე, თუ არა? შენი ცოდო არა მაქვს, მკითხველო, ეს ამათ არ გაეგებოდეთ), მაგრამ საქართველო იმერეთის კანტორამ, უარი უთხრა სამღვდელოებას, სახლების გასამშენებლად ჩვენ ფულს ვერ მოგცემთო.

სახლების გარემოება ამ მდგომარეობაში იყო 1874 წ. დაწყებაშიაც, თუმცა ეს უნდა გათავებულიყო, როგორც მკითხველმა იცის, 1875 წელსვე. თუ რომ სასწავლებლის სახლების გარდაკეთება იყო საჭირო 1875 წ., დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ ამ საჭიროებას 1877 წლამდის უფრო მოემატებოდა. სამღვდელოთ ყრილობის უარით ნაკლულევანება არ შეივსებოდა, მახლობელ მზრუნველს ამაზედ უნდა ცხოველი ყურადღება მიექცია. მართლაც, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან ვიცით, სასწავლებლის ზედამხედველს ამაზედ ჰქონია კიდეც საუბარი არქიერთან, რომელიც ბძანდება უპირველესი უფროსი ყველა სასულიერო სასწავლებლებისა კავკასიის მხარეში. ამის სიტყვიერის თანხმობით, უთხოვნია ზედამხედველს ხელახლად დანიშვნა სამღვდელოთ ყრილობისა, განსახილველად როგორც უწინდელის საგნისა, სახლების გარდაკეთების შესახებ, ეგრეთვე სხვა საგნებისაც. ამ საგანთა შორის უპირველესი და უსაჭიროესი იყო პანსიონისათვის აუცილებელის ხარჯისათვის ფულის მოპოება, რომ სამუდამოდ პანსიონს სარჩენი ჰქონოდა. (საჭიროა მოიგონოს მკითხველმა, რომ სამღვდელოებამ 8/9 მაისის 1876 წ. გახჩინების ძალით, მიჰსცა მხოლოდ ერთის წლის ხარჯი, ხოლო მომავალის წლებისთვის უჩვენა წყარო და კიდეც დასდვა შეწირულება). მაშასადამე წინად დარჩომილს გაუთავებლად საგანს სახლების გარდაკეთების შესახებ მიემატა უუსაჭიროესი საგანიცა და მის კარგად გათავება უნდა ესურვა ყველა პირს, რომელსაც კი დაბნელებული არა აქვს გონების სინათლე.

რომ სერიანად გადაწყვეტილიყო საქმე ამა საგანთ შესახებ, საჭირო იყო ბლაღოჩინების დასწრობაც ყრილობაზედ, რადგან იმათ უკეთ იციან შემოსავალ-გასავალი ეკკლესიებისა და მაშასადამე უკეთ შეეძლოთ ეჩვენებინათ ეს წყარო და დაენიშნათ კიდეც ამ წყაროდამ ფული და მით შეემსუბუქებინათ საკუთრად მღვდლების ჯიბეზედ მიძღვნილი შეწირულობა. ეს იყო მიზეზი, რომ ზედამხედველს ეთხოვნა ექსარხოსისათვის, რომ ყრილობაზედ დასწრობილიყვნენ ბლაღოჩინებიც, რომელნიც, როგორც მოწინავე პირნი ყოველის მხრით შეიქმნებოდნენ პასუხის მგებელნი იმაშიაც, თუ როგორ დააბოლოვებდა ყრილობა თავის საქმეს. მართლაც ექსარხოსი დათანხმდა ზედამხედველის აზრს და დანიშნა სამღვდელოთ ყრილობა 25 მაისისათვის 1877 წ.

დანიშნულ დროს გამოცხადდნენ მომეტებული ნაწილი ბლაღოჩინ-დეპუტატებისა, ასე რომ, კანონის ძალით, შეიძლებოდა ყრილობას კუთვნილი საგნები კიდეც გაჩეხილა. მგონია, ამის მიხედულობით, მეთორმეტე საათ-

ზედ იწყეს სამადლობელის პარაკლისის გადახდა, რომლის შემდგომაც უნდა შესდგომოდნენ თავიანთ საქმის განხილვას. პარაკლისის შემდეგ თავმჯდომარედ ამოირჩიეს ბლაღოჩინი ს. ფირანოვი. როდესაც ამან მიიღო სასწავლებლის მმართველობისაგან სია იმ საგნებისა, რომელზედაც უნდა ჰქონოდათ სჯა ყრილობაზედ და მოლაპარაკე თანამოაზრე დეპუტატებთან, იწყო თავის თანამდებობის აღსრულება. თავ-მჯდომარე ზის შუა სტოლზედ; დეპუტატთაგანი ზოგი ზის და ხმა მაღლად ებაასება მეორეს, ზოგი დგას და ყვირილით რაღაცას უმტკიცებს სხვებსა. თავ-მჯდომარისაგან ისმის ხმა: „მამანო, დაბძანდით, გავათაოთ (ჯერ კი არ დაუწყვია) ჩვენი საქმე“,—და რომ ატყობს, რომ იმას ყურს არავინ უგდებს, უმაღლებს ხმას და გაჯავრებულის და საყვედურის სახით იმეორებს „რა გაყვირებთ, განა მშვიდათ არ შეიძლება ლაპარაკი.“ ბოლოს ყველანი წყნარდებიან და ყვირილი სწყდება. ამ დროს თავ-მჯდომარე, რასაკვირველია, დიდის მოფიქრების შემდეგ, ჰკითხავს დეპუტატებს: „მამანო, ყრილობაზედ არ გამოცხადებულან ყველა ბლაღოჩინები და დეპუტატები და თქვენ რას ინებებთ, დავიწყოთ ჩვენის საქმის განხილვა, თუ ეხლანდელი ყრილობა გადავდოთ სხვა დროსთვის (თავ-მჯდომარე იმასა ცდილობდა, რომ როგორმე გადაედო ეს ყრილობა სხვა დროსთვის, რადგან მისამდინ კარგად გასწურთნიდა ზოგიერთ ბლაღოჩინ-დეპუტატებს და ჩააგონებდა, რომ სასწავლებლის სასარგებლოდ არაფერი შეეწირათ. ამას ის უნდოდა რომ ერთს მაინც ეთქვა, გადავდოთო და შემდეგ თითონ იცოდა, როგორ მოახერხებდა საქმეს). თავ-მჯდომარის ძმა დეპუტატი სფ. ფირანოვი იძახის: „კარგი იქნება რომ გადავდოთ“. სხვები კი ყველანი ცდილობენ, რომ ეხლავე გაათაონ რაც საქმე აქვთ.

ამ შემთხვევაში საჭირო იყო კანონის ცოდნა თავმჯდომარისაგან, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ცოდნა მის გულითად სურვილს ეწინააღმდეგებოდა, არღვევდა მისგან შედგენილს მახეს. საზოგადო მიდრეკილება დეპუტატების სურვილისა სასარგებლო და საქები იყო, მხოლოდ ძალა მოპირდაპირეთ ხელში იყო, ამ ძალას ისინი წინადაუხედავად ხმარობდენ და თავიანთი წადილი გაჭყვანდათ თითქმის მაშინაც, როდესაც მოწინააღმდეგე პირნი რიცხვით აღემატებოდნენ. თავ-მჯდომარის ძმის თანა-მოაზრედ გამოჩნდა ბლაღოჩინი ნ. ხუციევიც, რომელმაც იმისთანა დარწმუნებით და სიბეჯითით გამოთქვა თავის აზრი ყრილობის სხვა დროსათვის გადადებაზედ, რომ ვინც გადადების წინააღმდეგნი იყვნენ ისინიც ეჭვში ჩაცვივდნენ. ამან დაუმატა, რომ თუ ყრილობა ეხლა განიხილავს წინადადებულ საგანთა, იგი არც თვითონ მოაწერს ხელს და არც თავის დეპუტატებს მოაწერინებს (დახედეთ ძალას!). თავმჯდომარესაც ეს უნდოდა. მაშინვე დაჯღაბნეს ოროდე სიტყვა ყრილობის გადადებაზედ 5 ივლისისათვის, რომელზედაც თავმჯდომარემ და ნ. ხუციევმა თავის დეპუტატებით პირველად მოაწერეს ხელი და მათ შემდეგ სხვებმაცა. განა ამისთანა უგზო უკვლო მოქმედებაში მდგომარეობს თავმჯდომარის მოვალეობა? განა ამისთანა მოქმედებიდგან ჰსჩანს, რომ იგი ღირსი ყოფილა მონიჭებულის სამღვდელოებისაგან უფლებისა? ეს კითხვა მღვდელ-დეპუტატებმა გამოიკვლიონ. ჩვენ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ როგორც ყველა მოთანამდებე პირს, ეგრეთვე თავმჯდომარესაც აქვს თავისი მოვალეობა, რომლის ცოდნაც მისთვის საჭიროა. ვისაც თავმჯდომარეობა სურს, ეს მოვალეობაც უნდა შეიგნოს და კიდეც აღასრულოს, თუ არა და საქმე ესე ოღრო-ჩოღროდ წავა, ყოველთვის და ყველასათვის ისე არარაით გათავდება, როგორც ს. ბოდაევის და ს. ფირანოვის თავმჯდომარეობის დროს. ფირანოვს რომ ჰსცოდნოდა და თვალების თვლემით არ აღესრულებინა თავის თავმჯდომარეობის თანამდებობა, ამას უეჭველად უნდა გაეთავებინა ყოველის საგნის განხილვა 25 მაისს 1877 წ., რადგან მაშინ ყრილობაზედ გამოცხადდა ორ მესამედზედ მეტი იმ ბლაღოჩინ-დეპუტატებისა, რომლებიც იყვნენ დანიშნიშნულნი იქ გამოსაცხადებლად (Опр. Св. Сѵнода $\frac{7\ \text{Мар.}}{3\ \text{Апр.}}$ 1872 г.), და რომლის შემდეგაც ყრილობას სხვა დროსთვის გადადება ზემორე ხსენებულის კანონის დარღვევა იყო. როდესაც მეორე საათზედ შუადღის შემდეგ განჩინების დაწერის დროს მთვლემარე თავმჯდომარეს ჰკითხეს, რომ ერთი საგანი მაინც საჭირო იყო ეხლავე გაგვეხილნაო ე. ი. სასწავლებლის სახლების გარდაკეთების შესახებ, რადგან შემდეგ გვიანღა იქნება ამისათვის მასალის მომზადებაო, მაშინ თავმჯდომარემ მუქარით უპასუხა: „განა იცით, რომ ხუთს ივლის კი შეჩრავს სამღვდელოება რასმეს სასწავლებლის სახლების

გადასაკეთებლად?„ მფარცხველმა სთქვა: დალმა ვფარცხავ, ალმა ხნულსა ეს მართებსა.“ რა ნაყოფს გამოიღებს ეს სხვა დროს გადადებული ყრილობა, შევიტყობთ შემდეგ.

. . . . .

(შემდეგი იქნება).

---

## ბრძოლა რომის დასაპყრობლად

(შემდეგი *).

### კონსტანტინოპოლში.

მეორეს დილას იუსტინიანე გაჩერებული იდგა თავისის სასახლის ოთახში, ოქროს ჯვარცმის წინ. იგი ძალიან ჩაფიქრებული იყო და მის სახეზედ ეტყობოდა გულდადინჯებული გამბედაობა. თითქმის მუქარით შეხედა ჯვარცმასა და ხმა მაღლა ჰსთქვა: მძიმე განსაცდელს მიმეც მე შენი ერთგული მონა, ჰოი ჯვარცმულო ღმერთო! მე მაგას არ მემართლები. შენ იცი ყოველი, რაც მე მიმოქმედნია სადიდებლად სახელისა შენისა. მაშ წყრომასა შენსა რად არ მიაქცევ შენთა მტერთა, შენგან გადგომილთა და კერპთ-მსახურთა? რისხვათა შენთა კვეთება რად მოავლინე ჩემზედა? ხოლო თუ ესეა ნება შენი, მაშ იცოდე: იუსტინიანეს ხელიდამ გამოუვა არა მარტო შენება საყდართა და გამშვენიერება ხატთა. დაასრულა ეს სიტყვა თუ არა, ოთახში სწრაფს სიარულს მოჰყვა.

— ხელმწიფეო, მოახსენა მონამ: სენატი შეიკრიბა იერუსალემის დარბაზში. დედოფალი მიბრძანდება კიდეც.

— კარგი, უბძანა იუსტინიანემ, შეგიძლიან წახვიდე.

— „მოვიდა საათი გამოცდისა, ჰსთქვა იუსტინიანემ, როცა მარტო დარჩა: შენთვის, თეოდორავ, და ყოველთა თქვენთა თვის, ვინც ჩემდა ვეზირებად იქადით თავს. თქვენ თავის დღეში არ დაბრკოლებულხართ, როცა საქმე წვრილმანს საგანზედ მიმდგარა. რა მოხერხებულნი ხართ ხოლმე, როცა მსჯავრსა ჰსდებთ თქვენსავე ამხანაგთა, ექსორიაში ჰგზავნით, ქონებას ართმევთ და სახასოდ ჰსდებთ: დიდება იმპერიისა და იმპერატორისა აქვთ ხოლმე ენაზედ დაკრული ამ ყურ-მოჭრილთ მონებსა. ვნახოთ, დღესაც მოგაგონდებათ ეგ დიდება, თუ არა, მხოლოდ ნუ მილალიტებ შენ, ჰოი უმაღლესო ხელოვნებავ მპყრობელისავ: ღრმად დაფარულო და თვალთ განუჭვრეტელო ცბიერებავ! დღეს გამოვჰცდი, თქვენს ძალ-ღონეს ბიზანტიის სახელმწიფოის დიდებულნო! მე წინადვე ვიცი, როგორ მოიქცევით თქვენ. ეგ მე მიხარის კიდეც. თქვენი არაფრობა უკეთესი ბოძია ჩემის ტახტისა და უკეთესი გამართლებაა ჩემის მმართველობისა. თქვენ თვითონ თქვენის შეშინებულის გულით ჰსცნობთ დღესა, რომ საჭიროა დესპოტი თქვენთვის, თქვე მხთლებო, ფლიდებო და შესაბრალისნო მონანო!„

იუსტინიანემ უხმო მსახურთა და მოჰყვა ტანჩაცმასა. მუხლზედ დაჩოქილთა მსახურთა ჩააცვეს მას თეთრი მუხლებამდი დასაწდომი სამოსელი, ოქრომკედით მორთული და ზედ ალისფერი სარტყელი შემოარტყეს. ვიწრო შალვარი ალის ფერის აბრეშუმისა იყო. მხრებზედ წამოასხეს მშვენიერი და ძვირფასი სამეფო მანტია ღია ალისფერისა, ოქრომკედის არშიით მორთული და ზედ სხვა და სხვა ცხოველისა და ფრინველის სახენი იყვნენ ქსოვით გამოყვანილნი, ხოლო სახენი ცხადად ვერ განირჩეოდნენ, რადგანაც ძალიან ხშირად იყო დაფენილი მარგალიტით და ძვირფასის ქვითა. ორივე ხელზედ სამ-სამი ხალასი ოქროს რგოლები ჰქონდა გაკეთებული; განიერი ჯილა მძიმე ოქროსი მარგალიტით ჰქონდა მორთული. სკიპტრის მცველმა მოართვა გრძელი ოქროს ყავარჯენი, რომლის თავზედაც გამოსახული იყო სიმრგვლე ქვეყნისა მთლიანის ძვირფასის ქვისა და შიგ ქვაში ჩასმული იყო ოქროს ჯვარი.

იმპერატორი წამოდგა და გაემართა კარისაკენ.

— მაღლა ქუსლიანი ფეხთ-საცმელიც, ხელმწიფეო, მოახსენა მსახურმა ჯერ კიდევ მუხლზედ დაჩოქილმა.

(*) ივერია №№ 19, 21, 22, 23, 24 28 და 29.

— არა, დღეს ჩემთვის საჭირო არ არის ქუსლები, უპასუხა იუსტინიანემ და გამოვიდა ოთახიდამ.

იგი ავიდა ლომთა კიბეზედ. ასე ერქვა ამ კიბეს, იმიტომ რომ საფეხურების ორსავ მხრივ ჩამომწკრივებული იყო ოცდა ოთხი მარმარილოს ლომი, რომელიც ბელიზარის მოეტანა კართაღენიდამ. იუსტინიანემ აიარა კიბე და შევიდა საბჭოს დიდს დარბაზში, რომელსაც იერუსალემის დარბაზს უწოდნენ. ძვირფასად იყო მორთული ეს დარბაზი. მარტო იმის გუმბათსა ბიზანტიაში იმოდენა ფულად აფასებდნენ, რაც მთელს იმპერიას შემოსავალი შემოუვიდოდა ორმოცდა ხუთს წელიწადში.

შესავალში სამი თაღი იყო შეკრული, ამათ შორის სამი რიგი იმპერატორის მცველნი იდგნენ ფარდას იქით მიფარებით. ნახევრად რგვალი დარბაზის ბოლოს ამაღლებული იყო ტახტი იუსტინიანესი და ამის მარცხნივ იდგა პირველზე უფრო დაბალი ტახტი თეოდორასი.

რა წამსაც დაინახეს იმპერატორი, მუნ შეკრებილნი იმპერიის დიდებულნი მიწას დაემხნენ. თეოდორაც ფეხზედ წამოდგა, დაბლა დაიხარა თავი და გულზედ ჯვარედინად ხელები დაიწყო. მას იმ ფერივე ტანისამოსი ეცვა რაც იუსტინიანეს, მხოლოდ მანტიაზედ ოქროს არშია არ ჰქონდა და სკიპტრა სპილოს ძვლისა ჰქონდა იმპერატორის სკიპტრაზედ უფრო მოკლე. თეოდორამ რაღაც ძაგებით გადაავლო თვალი პატრიარქებს, არხიეპისკოპოზებს, ეპისკოპოზებს, დიდებულთა და სენატორებს, რომელთ ოქროს სელები რგვლად იყო მორიგებული ტახტის ორივე მხრივ.

იუსტინიანემ დარბაზის შუა-გულზედ გაიარა, მივიდა ტახტთან და მარდად ავიდა. თორმეტი უმაღლესი კარის კაცნი ორივე ტახტის საფეხურებზედ ჩამომწკრივდნენ, ყველას ხელში თეთრი ყავარჯენი ეჭირათ. ბუკის ხმამ აცნობა მიწაზედ დამხობილთ დიდებულთა, რომ მათ ნება აქვთ წამოდგნენ.

— ჩვენ მოგიწვიეთ თქვენ, წმინდანო მამანო და წარჩინებულნო დიდებულნო, ჰსთქვა იუსტინიანემ: რომ რჩევა გკითხოთ დიდად გასაჭირს საგანზედა. ხოლო მე თქვენს შორის არა ვხედავ ჩვენს magister militum per Orientem, ნარზესსა. სად არის იგი?

— წუხელის მოვიდა სპარსეთიდამ და ავადმყოფი წევს ლოგინშია, მოახსენა უფროსმა ხელჯოხიანმა.

— ჩვენი მეკანონე sacti palatii ტრიბუნიანი სადღა?

— ჯერ არ დაბრუნებულა იქიდამ, სადაც შენის ბძანებით წასულია.

— ბელიზარი მაინც რატომ არ არის აქ?

— იგი ბიზანტიაში არ არის. იგი ეხლა ჰსცხოვრებს აზიის ზღვის პირას თავის წითელს სახლში.

— იგი როგორღაც გვერიდება ჩვენ და თავის წითელს სახლში რჩეობს ცხოვრებასა. ეგ ჩვენ არ მოგვწონს, ჰსთქვა იუსტინიანემ: ნეტა რად გვარიდებს თავს?

— სახლში ვერ ენახათ. იგი სანადიროდ წასულიყო და სპარსული ვეფხვები წაეყვანა საცდელად, მიუგო ხელჯოხიანმა.

— როცა საჭიროა, მაშინ არას დროს ვერ ნახავთ, როცა საჭირო არა არის, მაშინ კი ყოველთვის აქ არის. მე არა ვარ ბელიზარის კმაყოფილი. მაშ მოისმინეთ იგი, რაც ამ ბოლოს დღეებში შევიტყეთ.

იუსტინიანემ უამბო იტალიის საქმეთა ვითარება. მას შემდეგ რაკი ბიზანტიამ უარი ჰყო გოთთაგან წარმოდგენილნი შერიგების პირობანი, გოთებმა ომი დაგვიწყესო და დღეს აქამომდე ბედი იმათკენ არისო. ბარბაროზთა ხომალდებმა ერთი ერთმანეთზედ აიღესო ზღვის-პირა ქალაქები დალმაციაში, დალუპეს იმპერატორის საომარი ხომალდებიო, დაიჭირესო სიცილია და ყველგან თავიანთი მმართველები დააყენესო. ეგ კიდევ არაფერიო. ძლევა-მოსილობით წინ მოიწევიანო და იმპერიის საზღვარსაც შემოადგნენო.

ელდის ზარის ხმა მოისმა ყველასაგან ამ იმპერატორის სიტყვებზედ. იუსტინიანემ განაგრძო სიტყვა მაგრამ წარბი შეიკრა და მრისხანედ ჰსთქვა:

— ისმინეთ, მოკლედ და გადაჭრით გეუბნებით: გუშინ ამბავი მომივიდა, რომ გოთნი ბიზანტიაზედ მოდიან.

სენატორნი შიშით ფეხზედ წამოვარდნენ სელებიდამ.

— დიაღ, ორივე მხრით მოდიან, განაგრძო იუსტინიანემ: ზღვით და ხმელეთით. თესალონნიკას შემოჰსდგომიან·კიდეც,„ახალი კედელი“ ჩვენი დაუნგრეეიათ, ამჟამად მათ წინაშე ბიზანტიის გზა გახსნილია და ჩვენ კი ჯარი არა გვყავს რომ წინ დავახვედროთ, ჩვენი ჯარი სულ სპარსეთის საზღვარზეა თუმცა ესეა, მაგრამ მაინც ბარბაროზნი შერიგებას გვთხოვენ წინანდელის პირობითვე, ხოლო სიცილიაც ჩვენ დაგვითმეო. მე პაემანი ვითხოვე და გოთ·ბმა მომცეს იმ აზრით, რომ ეგ პაემანი სამუდამო შერიგებით გათავდება მათგან წარმოდგენილ პირობებზედვე. მე ეგ აღუთქვი:

აქ იუსტინიანემ ცალის თვალით გადახედა დიდებულთა და მერე თეოდორასაც.

დიდებულთა გულზედ მოეშოთ, თეოდორამ თვალები დახუჭა, რომ თვალებს იგი არ გაეცათ და თრთოლით მოსჭიდა ხელი თავისის ტახტის ოქროს სახელურს.

— მე აღუთქვი, ჰსთქვა იუსტინიანემ: ხ ილო დავუმატე კი, რომ ჯერ დავეკითხები ჩემს მეუღლესა მეთქი და ჩემს გულის-ხმიერს სენატსა. მე, ჩემი მხრით, შერიგებაზედ თანხმობა გამომიცხადებია.

ყველას სახე გაუნათლდა სიხარულითა.

— აბა თქვენ რაღას იტყვით? ეს კი გახსოვდეთ, რომ თუ შერიგებას უარ ვჰყოფთ,—რამდენიმე დღეს შემდეგ ბარბაროზნი ბიზანტიის კარს მოადგებიან. იტალიას რომ ითხოვენ—ეგ არაფერია. ეს რამდენიმე ათეული წელიწადი გასულა, რაც იტალია ჩვენგან დათმობილია. ორჯერ მიუსიეთ ბელიზარი ჯარით იტალიის ხელახლად დასაპყრობლად, მაგრამ ორჯერვე ბელიზარი ვერა გახდა რა.

— შევურიგდეთ! შევურიგდეთ! დაიგრიალეს ყოველმხრივ. ელჩნი, ეპისკოპოსნი, დიდებულნი, სარდალნი—სულ ყველანი მუხლებზედ დაეცნენ იმპერატორის წინ.

უწინაც მომხდარა რომ სარაცინნი, სპარსნი აღმოსავლეთით, მავრები სამხრეთით, ბოლგარნი და სლავიანები ჩრდილო-დასავლეთით მოსდგომოდნენ იმპერიის სამზღვრებს, ეოტებინოთ, აეკლოთ, დაემარცხებინოთ იმპერატორის ჯარი, და დაუსჯელად უკანვე გაბრუნებულიყვნენ. მაგრამ რომ ვისმე დაეპყრა საბერძნეთის კუნძულები და ქალაქები, რომ ბიზანტიისაკენ გზა გახსნილი ჰქონოდა—ეგ თავის დღეში არ გაეგონათ. სასოწარკვეთილი ელდა და შიში გამოიხატა ყველას სახეზედა.

გულდადინჯებით, თითქო ჰსცდისო, გადაავლო იუსტინიანემ თვალი დიდებულებს მარჯვნივ და მარცხნივ.

— ხელახლად გკითხავთ,—ჰსთქვა მან: რას იტყვით, პაემანს შემდეგ ომს ირჩევთ თუ შერიგებას. ერთის სიტყვით შეიძლება შერიგება ვიყიდოთ იტალიის დათმობითა. ვინც ომსა რჩეობს, ხელი მაღლა აიწიოს.

არც ერთი ხელი არ გაინძრა. ყველას ეგონა, რომ იუსტინიანეს შერიგება უნდა.

(შემდეგი იქნება.)

## განცხადება

### გამგეობა

მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა აცხადებს, რომ ძალითა § 17 ამა ბანკის წესდებისა, გამგეობაში გაიყიდება საზოგადო ვაჭრობით შემდგომი ქუთაისში მდებარე მამულები, რომელნიც ეკუთვნიან:

1. ნიკოლოზ ანტონის ძეს ფირალოვს, ერთსართულიანი ქვით-კირის სახლი.

2. ელისაბედ სვიმონის ასულს ჩარექოვისას, შვიდი ქვით-კირის დუქანი.

აგრეთვე შორაპნის უეზდის სოფელ კვალითს, ცხრა-წყაროს და ზოვრეთს მდებარე მამული.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Октября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე